ნიმუში

ხელშეკრულება N

_____ --- ---------- წელი

ერთის მხრივ, კოოპერატივი „_____“ (ს/კ _____), წარმოდგენილი გამგეობის თავმჯდომარის _____ _____ (პ/ნ _____) მიერ, (შემდგომში „კოოპერატივი“) და მეორეს მხრივ ____ _____ (პ/ნ _____), (შემდგომში „მეპაიე“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ პირობებზე:

1. მეპაიის ეკონომიკური მონაწილეობა

1.1. მეპაიის ეკონომიკური მონაწილეობა - საანგარიშო პერიოდში კოოპერატივისთვის მიწოდებული პროდუქციის ან/და გაწეული მომსახურების ღირებულება (მიეთითება კოოპერატივისთვის მისაწოდებელი პროდუქციის ან/და გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი):

1.1.1. საანგარიშო პერიოდში, მეპაიე მიაწვდის 1000 ლიტრ რძეს, ღირებულებით 800 ლარი.

1.1.2. .....

1.1.3. ……

1.2. ამ ხელშეკრულებით დადგენილი ეკონომიკური მონაწილეობის ცვლილების შემთხვევაში მეპაიე ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს კოოპერატივის გამგეობას ყოველი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით გონივრულ ვადაში.

2. სავალდებულო საპაიო შენატანის განსაზღვრა და შეტანის პირობები

2.1. მეპაიის სავალდებულო საპაიო შენატანის ოდენობა (პაის ღირებულება) განისაზღვრება საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში მისი მოსალოდნელი სამეურნეო საქმიანობის შესაბამისად, კოოპერატივის მიერ ამ მეპაიისათვის გასაწევი მომსახურების ან/და მისაწოდებელი პროდუქციის ღირებულების პროპორციულად:

2.1.1. მეპაიის მიერ მოწოდებული 1000 ლიტრი რძის გადამუშავების ღირებულება შეადგენს 300 ლარს

2.1.2. 1000 ლიტრი რძის გადამუშავების შედეგად წარმოებული პროდუქციის შეფუთვის და ეტიკეტირების ღირებულება შეადგენს 150 ლარს

2.1.3. .....

2.2. პაის ღირებულება შეადგენს 450 ლარს.

2.3. პაის შეტანა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში კოოპერატივის რეგისტრაციიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭების შესახებ ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოში განაცხადის შეტანამდე;

2.4. მეპაიის მიერ პაის შეტანა განხორციელებულად ითვლება კოოპერატივის ანგარიშზე თანხის შეტანის შემდეგ;

2.5. კოოპერატივის წევრის მიერ კოოპერატივში დამატებითი შენატანის სახით შეტანილი უძრავ-მოძრავი ქონება (მათ შორის მიწის ნაკვეთი) ხდება კოოპერატივის საკუთრება;
2.6. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში ამ კოოპერატივის წევრის დამატებითი შენატანის ქონების სახით შეტანისას ამ ქონების ვალდებულებით დატვირთვა ან/და გასხვისება შესაძლებელია მხოლოდ მისი შემტანი პირის წერილობითი თანხმობით.
2.7. მეპაიე, კოოპერატივის ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში პასუხს აგებს მხოლოდ თავისი შენატანების ფარგლებში;

3. დამატებითი შენატანი

3.1. დამატებითი შენატანის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოოპერატივის საერთო კრება კოოპერატივის საჭიროებიდან გამომდინარე და იგი შესასრულებლად სავალდებულოა მეპაიესათვის;
3.2. მეპაიის მიერ განხორციელებული დამატებითი შენატანი მეპაიეს აძლევს უფლებას მიიღოს დამატებითი დივიდენდი ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და წესის შესაბამისად;
3.3. მეპაიეს უფლება აქვს განახორციელოს დამატებითი შენატანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მის მიერ კოოპერატივში სრულად იქნება შეტანილი პაი;
3.4. მეპაიე ვალდებულია დამატებითი შენატანი განახორციელოს საერთო კრების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუმეტეს ----- დღის ვადაში (თუ საერთო კრების გადაწყვეტილებით არ არის დადგენილი დამატებითი შენატანის შეტანის სხვა პერიოდულობა);
3.5. დამატებითი საპაიო შენატანი შეტანილად ითვლება ფულადი შენატანის კოოპერატივის ანგარიშზე შეტანის, ან/და ფულად ღირებულებაში გამოხატული ქონების კოოპერატივის საკუთრებაში (ძროხის შემთხვევაში სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრაცია, მიწის და/ან შენობის შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, მოძრავი ქონების ტექნიკა, ავტომანქანა და ა.შ შსს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაცია) რეგისტრაციის დღიდან;
3.6. დამატებითი შენატანის სახით შეტანილი ქონების შეფასება შეიძლება განხორციელდეს მოწვეული ექსპერტის ან აუდიტორის მიერ. ექსპერტის ან აუდიტის ხარჯებს მხარეები ინაწილებენ თანაბრად.
3.7. დამატებითი შენატანის ფულის და/ან ქონების სახით შეტანისას ფორმდება დამატებითი ხელშეკრულება.

4. დივიდენდის მიღების წესი

4.1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მოგებიდან დივიდენდი ასოცირებული/ინვესტორი წევრების (არსებობის შემთხვევაში) შემდეგ გაიცემა კოოპერატივის მეპაიეებზე, მათი დამატებითი შენატანების შესაბამისად.
4.2. საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, მეპაიეთა დამატებით შენატანებსა და ასოცირებული/ინვესტორი წევრის შენატანებზე დივიდენდი გაიცემა შემდეგი სახით:

ა) **მეპაიის დამატებითი შენატანის პროპორციულად.** მეპაიეთა დამატებით შენატანების და ასოცირებულ/ინვესტორ წევრთა შენატანების პროპორციულად გასაცემი დივიდენდის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შენატანების ღირებულების 15%-ს ერთი სამეურნეო წლის განმავლობაში;

ბ) **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მოგებიდან.** მეპაიეთა დამატებით შენატანებზე და ასოცირებულ/ინვესტორ წევრთა შენატანებზე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მოგების პროპორციულად გასაცემი დივიდენდის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წმინდა მოგების 50%-ს.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ კოოპერატივში განხორციელდა მეპაიეების მიერ დამატებითი შენატანების და/ან ასოცირებული/ინვესტორი წევრის/წევრების მიერ ასოცირებული/ინვესტორი წევრის შენატანების შეტანა, მაშინ საჭიროა დამატებითი შეთანხმების გაფორმება დივიდენდის გაცემის წესის და დივიდენდის ოდენობის შესახებ, სადაც იწერება მხოლოდ ერთი წესი, ან „ა“ ან „ბ“ პუნქტის შესაბამისად. (რაც განსაზღვრეთ კოოპერატივის დაფუძნებისას საერთო კრებით).

ხოლო, იმ შემთხვევაში. როდესაც კოოპერატივებს არც სადამფუძნებლო და არც სხვა საერთო კრებით აღნიშნული წესი განსაზღვრული არ აქვთ, შეთანხმების გაფორმებამდე უნდა მოიწვიონ საერთო კრება და განსაზღვრონ ერთ-ერთი წესი, ან „ა“ პუნქტის ან „ბ“ პუნქტის შესაბამისად და გასაცემი დივიდენდის ოდენობა.

4.3. ამ ხელშეკრულების 4.1. პუნქტის შესაბამისად დივიდენდების გაცემის შემდეგ დარჩენილი მოგება ნაწილდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეებზე, მათი ეკონომიური მონაწილეობის პროპორციულად;

5. მეპაიის კოოპერაციული შემოსავალი

5.1. მეპაიის კოოპერაციული შემოსავალი არის მეპაიის შემოსავლის ნაწილი, რომელსაც იგი იღებს სამეურნეო წლის განმავლობაში თავისი ეკონომიკური საქმიანობის პროპორციულად;

5.2. მეპაიის მიერ კოოპერატივისათვის მიწოდებული პროდუქციის/ნედლეულის ჩაბარებიდან ..... ვადაში, კოოპერატივი ვალდებულია გადაუხადოს მეპაიეს მიწოდებული პროდუქციის/ნედლეულის ღირებულების ..... %, მიწოდებიდან ..... ვადაში, ხოლო ამ პროდუქციის რეალიზაციის შემდგომ მთლიანად აანაზღაუროს ღირებულება რეალიზაციის შედეგად უკვე გაცემული თანხის რაოდენობის გათვალისწინებით.

6. ანგარიშსწორება მეპაიესთან, მისი კოოპერატივიდან გასვლის შემთხვევაში

6.1. მეპაიის კოოპერატივიდან გასვლის შემთხვევაში მასთან ანგარიშსწორება ხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ კანონით და კოოპერატივის წესდებით დადგენილი წესით;

6.2. წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში მეპაიეს უფლება აქვს დაიბრუნოს მისი კუთვნილი აქტივები (შენატანები და დივიდენდი/დივიდენდის ნაწილი) მას შემდეგ, რაც ის დაფარავს კოოპერატივის წინაშე არსებულ დავალიანებას;

6.3. განცხადება კოოპერატივიდან გასვლისა და პაის დაბრუნების თაობაზე გადაეცემა კოოპერატივის გამგეობას კოოპერატივიდან გასვლამდე არანაკლებ --- თვით (გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნული ვადა შეიძლება იყოს არანაკლებ 3 თვე და არაუმეტეს 1 წელი. იხელმძღვანელეთ კოოპერატივის წესდებით) ადრე;

6.4. განცხადება კოოპერატივიდან გასვლის და პაის დაბრუნების შესახებ უნდა გაკეთდეს წერილობით;

6.5. გამგეობა მეპაიის წერილობითი მიმართვიდან -------- დღის ვადაში ვალდებულია განიხილოს მეპაიის წინადადება და მიიღოს გადაწყვეტილება მეპაიის მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობების ან უარყოფის შესახებ;

6.6. ერთერთი მხარის მოთხოვნით, კოოპერატივიდან გასატანი ქონების ღირებულების შეფასება შესაძლებელია შესაბამისი ექსპერტის/აკრედიტებული აუდიტორის მიერ. ექსპერტის შერჩევა შესაძლებელია როგორც მეპაიის, ასევე კოოპერატივის მიერ. ექსპერტიზის ხარჯებს მეპაიე და კოოპერატივი ინაწილებენ თანაბრად;

6.7. ექსპერტის დასკვნაში მითითებული უნდა იყოს ქონების ღირებულება გატანის დროს, ქონების ცვეთის, გაუმჯობესების და ამ მეპაიის მიერ ქონების გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით;

6.8. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას, შეუძლია განახორციელოს განმეორებითი ექსპერტიზა საკუთარი ხარჯებით;

6.9. თუ მხარეები არ ეთანხმებიან განმეორებითი ექსპერტიზის დასკვნას და ჩატარებული ექსპერტიზები არ იყო განხორციელებული სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზა ტარდება ამ უკანასკნელის მიერ მეპაიესა და კოოპერატივის მიერ ხარჯების თანაბარი განაწილებით;

6.10. კოოპერატივიდან გასვლისას მეპაიესთან საბოლოო ანგარიშსწორება ხდება გასვლის დღისათვის არსებული ფინანსურის ანგარიშგების საფუძველზე.

6.11. კოოპერატივიდან გასვლის შემთხვევაში, საპაიო შენატანი მეპაიეს უბრუნდება იმავე ოდენობით, რა ოდენობითაც განახორციელა საპაიო შენატანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეპაიეს კოოპერატივის წინაშე აქვს შესასრულებელი ფულადი ვალდებულებები;

6.12. სავალუტო კურსის ცვლილებების შემთხვევაში შესაძლებელია მხარეთა შეთანხმება ფულით განხორციელებული პაის დასაბრუნებელი ღირებულების კორექტირების შესახებ;

6.13. თუ წევრის გასვლის დროს საბოლოო ანგარიშსწორებისას დგინდება, რომ კოოპერატივის ვალების დასაფარავად საკმარისი არ არის მთელი ქონება, რეზერვებისა და აქტივების ჩათვლით, მაშინ კოოპერატივიდან გასულმა მეპაიემ ზარალის ასანაზღაურებლად კოოპერატივს უნდა გადაუხადოს ფულადი თანხა საპაიო ფონდში მის წილის პროპორციულად, მაგრამ არაუმეტეს პაის ოდენობისა;

6.14. კოოპერატივიდან გასვლისას კოოპერატივის მეპაიეს კუთვნილი აქტივები გადაეცემა გასვლიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში;

7. კოოპერატივის რეორგანიზაციის ან დაშლისას დარჩენილი ქონებიდან შესაბამისი წილის დაბრუნების წესი

7.1. კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების, სახელფასო დავალიანების, ასოცირებული/ინვესტორი წევრების და მეპაიეთა დამატებითი შენატანების, სხვა აუცილებელი ხარჯების დაფარვის და მოგებისა და ზარალის განაწილების შემდეგ, მეპაიე მიიღებს წილს დარჩენილი ქონებიდან, მისი პაის პროპორციულად;

7.2. დარჩენილი ქონების ღირებულების შეფასება შესაძლებელია შესაბამისი ექსპერტის/აკრედიტებული აუდიტორის მიერ;

7.3. მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, დარჩენილი ქონების განაწილება შესაძლებელია მოხდეს ნატურით. სხვა შემთხვევაში დარჩენილი ქონების რეალიზაციით ამონაგები თანხის განაწილება წევრებზე განხორციელდება მათი პაის პროპორციულად.

8. მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგები

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2. მხარეები უფლებამოსილნი არიან დავის შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია:

ა) ხელშეკრულების ვადის გასვლით;

ბ) კოოპერატივის წევრობის შეწყვეტით;

გ) მეპაიის გარდაცვალებით;

დ) კოოპერატივის დაშლით;

ე) მხარეთა შეთანხმებით;

9.2. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს წერილობით ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 კვირის განმავლობაში.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია _____ მდე.

10.2. ხელშეკრულების ვადაზე ადრე გაუქმება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

11.1. ხელშეკრულების არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

11.2. თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ცვლილების განხორციელებამდე არაუგვიანეს ---- დღისა;

11.3. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და თან უნდა დაერთოს ამავე ხელშეკრულებას.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ ჩაითვლება მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად და ნაკისრი ვალდებულების დარღვევად;

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეთათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საომარი მოქმედებებით და სხვა;

12.3. ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ხელშეკრულების მეორე მხარეს ასეთი გარემოებებისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულების მხარეებს შორის არსებული დავები წყდება მათ შორის შეთანხმებით ან სასამართლოს გზით;

13.2. მეპაიეების მიერ განხორციელებული შენატანებით კოოპერატივის მიერ შეძენილი ქონების ნებისმიერი სახით განკარგვისას დაუშვებელია:

ა) ქონების განკარგვის შედეგად სარგებლის მიღება კოოპერატივის იმ წევრთა მიერ, რომელსაც ამავე ქონების შეძენისას/შექმნისას არ განუხორციელებია შესაბამისი შენატანი;

ბ) კოოპერატივის დაშლისას კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების, სახელფასო დავალიანების დაფარვის, სხვა აუცილებელი ხარჯების გაცემის, მოგებისა და ზარალის განაწილების შემდეგ დარჩენილი ქონებიდან წილის მიღება იმ წევრთა მიერ, რომელსაც ამავე ქონების შეძენისას/შექმნისას არ განუხორციელებია შესაბამისი შენატანი;

გ) კოოპერატივიდან გასვლისას წევრმა მიიღოს წილი იმ ქონებიდან, რომლის შესაძენად/შესაქმნელად თავად არ განუხორციელებია შესაბამისი შენატანი.

13.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და თითოეული ინახება თითო მხარესთან.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

კოოპერატივი:	**მეპაიე:**
.....	.....
ს/კოდი	**პ/ნ** .....
_____	_____

ინსტრუქცია

(წინამდებარე ინსტრუქცია წარმოდგენილია თვალსაჩინოებისათვის და არ აისახება ხელშეკრულებაში. ხელშეკრულების ტექსტში მოცემული საქმიანობა და პაის ღირებულება არის პირობითი და უნდა შეივსოს მეპაიეთა ეკონომიური საქმიანობის შესაბამისად)

1. მეპაიის ეკონომიური მონაწილეობა

მაგალითი: მეპაიე კოოპერატივს საანგარიშო პერიოდში აბარებს 1000 ლიტრ რძეს. (შესაძლოა იყოს სხვა ნედლეულიც, ყურძენი, თაფლი, ხილი და ა.შ) ეკონომიკური მონაწილეობის დასადგენად, მეპაიესა და კოოპერატივს შორის ხდება შეთანხმება 1 ლიტრი რძის ღირებულებაზე. მაგალითად, თუ ერთი ჩასაბარებელი ლიტრი რძის ღირებულებად დაადგინეს 0.8 ლარი, მეპაიის ეკონომიკური მონაწილეობა იქნება 1000 X 0.8 = 800 ლარი.

1.1.1. საანგარიშო პერიოდში, მეპაიე მიაწვდის 1000 ლიტრ რძეს, ღირებულებით 800 ლარი.
1.1.2. .....
1.1.3. .....

2. პაის განსაზღვრა და შეტანის პირობები

მაგალითი 1: მეპაიე აწარმოებს ყურძენს და სამეურნეო წლის განმავლობაში კოოპერატივს უნდა მიაწოდოს 2000 კგ ყურძენი (ან სხვა ნედლეული), რომელიც უნდა გადამუშავდეს და იქცეს საბოლოო პროდუქტად.
კოოპერატივის მიერ მეპაიესათვის გასაწევი მომსახურება ამ შემთხვევაში **წარმოადგენს 2000 კგ ყურძნის გადამუშავებისათვის და საბოლოო პროდუქტად ჩამოყალიბებისათვის გაწეულ ხარჯს** (ელ. ენერგია, წყალი, ბოთლი, ეტიკეტი, ხელფასი და ა.შ), რომლის ღირებულებაც დავუშვათ **შეადგენს 500 ლარს.**
გამომდინარე ზემოაღნიშნული მაგალითიდან **მეპაიეს პაი არის 500 ლარი,** რაც შეტანილ უნდა იქნეს კოოპერატივში პაის სახით.

კოოპერატივის მომსახურება	**მომსახურების ღირებულება (ლარი)**	მეპაიეს მიერ შესატანი თანხა (ლარი)	**პაი**
ყურძნის გადამუშავება, ღვინის წარმოება	**500**	**500**	**500**

იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივი, მეპაიეს ასევე აწვდის სასუქებს, ქიმიკატებს და ა.შ აღნიშნული საქონლის ღირებულება მეპაიის მიერ აგრეთვე შესატანია კოოპერატივში პაის სახით და ემატება კოოპერატივის მიერ ყურძნის გადამუშავებისათვის და საბოლოო პროდუქტის მისაღებად გასაწევ ღირებულებას, რის შედეგადაც განისაზღვრება მეპაიეს პაი.

კოოპერატივის მიერ მეპაიეზე გაწეული მომსახურება	კოოპერატივის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება (ლარი)	მეპაიეს მიერ შესატანი თანხა (ლარი)	პაი
ყურძნის გადამუშავება, ღვინის წარმოება	500	500	800
სასუქების და ქიმიკატების მიწოდება	300	300	

კოოპერატივის მიერ მიწოდებული ნებისმიერი სხვა მიწოდება და/ან მომსახურება (ტრანსპორტირება, საწვავი, ტექნიკის დაქირავება და ა.შ) ემატება საპაიო შენატანს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება მეპაიეს პაის ოდენობა.

მაგალითი 2: იმ შემთხვევაში თუ ქონება პაის სახითაა შეტანილი კოოპერატივში პაის ღირებულება განისაზღვრება შემდეგნაირად

საპაიო შენატანი	დასახელება	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)
ქონება	ძროხა	1	1000
ფული	ძროხის მოვლის და კვების ხარჯები		500
პაის ღირებულება			500
დამატებითი შენატანი	ძროხის ღირებულება აისახება დამატებით შენატანში		1000

შენიშვნა : კანონის მიხედვით, კოოპერატივის მიერ სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მინიჭების მოთხოვნისას, მეპაიეების მიერ პაი სრულად უნდა იყოს შეტანილი კოოპერატივის ანგარიშზე. შესაბამისად, პაი უნდა შეიტანოს თითოეულმა მეპაიემ და დანიშნულებაში მიუთითოს საპაიო შენატანი.

იმ შემთხვევაში, თუ მეპაიეთა საპაიო შენატანები შეაქვს ერთ პირს ერთიანად, აუცილებლად უნდა მიეთითოს დანიშნულებაში თითოეული მეპაიეს სახელი და გვარი (მაგალითად 300 ლარი ვახტანგ დავლაძის საპაიო შენატანი; 400 ლარი ლაშა ჩხაიძის საპაიო შენატანი და ა.შ)

გაფერადებული მაგალითები, შენიშვნები და ცხრილები წარმოდგენილია თვალსაჩინოებისათვის და ხელშეკრულებაში არ აისახება.

შენიშვნა 3: ხელშეკრულების 4.2 პუნქტთან დაკავშირებით, კანონით განსაზღვრულია მეპაიის დამატებით შენატანზე დივიდენდის გაცემის 2 წესი, რომელთაგან კოოპერატივის მიერ შეირჩევა ერთ-ერთი (საერთო კრების გადაწყვეტილებით, ინდივიდუალურად თითოეულ მეპაიესთან შეთანხმებით)

ა) მეპაიეთა დამატებით შენატანების და ასოცირებულ/ინვესტორ წევრთა შენატანების პროპორციულად გასაცემი დივიდენდის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შენატანების ღირებულების 15%-ს ერთი სამეურნეო წლის განმავლობაში;

ბ) მეპაიეთა დამატებით შენატანებზე და ასოცირებულ/ინვესტორ წევრთა შენატანებზე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მოგების პროპორციულად გასაცემი დივიდენდის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წმინდა მოგების 50%-ს;

შესაბამისად, 4.3. პუნქტი ჩამოყალიბდება მოცემული 2 წესიდან ერთ-ერთის მიხედვით.

პუნქტი 5.2. არეგულირებს მეპაიის კოოპერაციული შემოსავლის მიღების პირობებს და (თანხის ოდენობა და ვადა) შესაძლებელია ჩამოყალიბდეს თქვენი შეხედულებისამებრ .

წინამდებარე ხელშეკრულება ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს.